

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების

2020 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

2020 წლის იანვარში დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩატარდა ტრადიციული კალანდობის დღესასწაული, გურულ სამზადში, შუაგეცხლთან, მუზეუმის თანამშრომლების მიერ მომზადებული იქნა ღვეზელი და სხვა ტრადიციული კერძები. ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელსაც ეკთვნის ინიციატივა, რომ კალანდა გამოცხადდეს არამატერიალურ კულტურულ ძეგლად. ასევე ღონისძიებას ესწრებოდა პარლამენტის თავჯდომარე არჩილ თალაკვაძე სხვადასხვა ქვეყნის ელჩებთან ერთად.

17 იანვარი - გურიანთის მემორიალურმა მუზეუმმა ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით გურიანთის საჯარო სკოლაში ჩაატარა ღია გაკვეთილი თემით: „გურიანთის საწინამძღვრო“. მოსწავლეები გაეცნენ 1886 წლის მონაცემებით გურიანთის საწინამძღვროს დაქვემდებარებული: ახალსოფლის, ჯუმათის, ბოგილის, გულიანის მოედნის, ზედობნის, მიქელ-გაბრიელის, საღმრთოს, გოგორეთის, ახალსაყდრის, კახურის, სუფსის მთავარ მოწამეთა ეკლესია-მონასტრების ისტორიას.

18 იანვარი - ლიხაურის ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმში, ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების (1862 წელი) თარიღთან დაკავშირებით საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩართულობით გაიხსენეს დიდი მეცნიერი და წმინდანი. კონფერენციაზე მუზეუმის დირექტორმა რუსლან ურუშაძემ ისაუბრა ექ. თაყაიშვილის ცხოვრებასა და ღვაწლზე.

10 თებერვალი - გურიანთის მემორიალურ მუზეუმში ჩატარდა ღია გაკვეთილი ციხისფერდის საჯარო სკოლის VIII კლასთან თემით „გურული ეთნოკულტურა“. მოსწავლეები გაეცნენ გურიაში დამკვიდრებულ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს სამეურნეო ყოფას, ჩაცმულობას და საქორწილო წეს-ჩვეულებებს.

20 თებერვალი - დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში საჯარო სკოლის მოსწავლეების ჩართულობით, თემატიკით: „ეპიზოდები გურიის წარსულიდან“, ჩატარდა ღია გაკვეთილი. მოეწყო სოფ. დვაბზუს ისტორიის წიგნის განხილვა.

26 თებერვალი - ცხემლისხიდის გ. სალუქვაძის სახლმუზეუმში მოეწყო გურული კარ-მიდამოს დათვალიერება, შენობა - ნაგებობათა ფუნქციების გაცნობა საჯარო სკოლის მოსწაღეთა ჩართულობით.

5 მარტს - ლიხაურის ექ. თაყაიშვილის მუზეუმმა დაინტერესებულ პირთათვის და საჯარო სკოლის უფროსკლასელთათვის გამართა კონფერენცია თემაზე: „1920 წლის დროინდელი საქართველო; პირველი რესპუბლიკის ჭირვარამიანი თავგადასავალი“.

6 მარტს - დედის დღესთან და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გურიანთის მემორიალურ მუზეუმში, საჯარო სკოლების უფროსკლასელთათვის ჩატარდა ექვსკურსია, სტუმრები გაეცნენ მუზეუმში დაცული დამსახურებული თანასოფლელი ქალბატონების ბიოგრაფიას.

9 მარტს - ცხემლისხიდის გ. სალუქვაძის სახლმუზეუმში გაიმართა მასტერკლასი მანანა სიხარულიძის ხემძღვანელობით თემაზე: „როგორ ერთობოდნენ ბავშვები ძველად.“ მოეწყო, ხელნაკეთი სათამაშოების დამზადება მოსწავლეებთან ერთად.

10 მარტს - დვაბზუს ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა გამართა ვორქშოპი თემაზე: „მე მიყვარს გურია“, აღნიშნულ ღონისძიებაში ჩართულნი იყვნენ დვაბზუსა და ცხემლისხიდის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების 13 მარტის ბრძანება N 12 შესაბამისად, სამუზეუმო გაერთიანება გადადის დისტანციური მუშაობის რეჟიმზე (13 მარტიდან მაისის ჩათვლით).

16 ივნისს - დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში, კულტურის სამსახურის ორგანიზებით და თანამშრომელთა ჩართულობით გაიმართა ანსამბლ „ხელხვავის“ დისკის პრეზენტაცია.

8 ივლისი - ცხემლისხიდის გ. სალუქვაძის მუზეუმში პანდემიის დროს ოზურგეთში დარჩენილი ტურისტებისათვის (პორტუგალია, გერმანია, ბალტიისპირა ქვეყნები) მოეწყო ფოლკლორული ტური. სტუმრები გაეცნენ გურულ კარმიდამოს და სამზარეულოს.

9 ივლისი - გურიანთის მემორიალურ მუზეუმში მოწვეულ სტუმრებთან ერთად განხილულ იქნა ექ. თაყაიშვილის როლი გურიანთის ციხის შესწავლის საქმეში.

22 ივლისი - დვაბზუს ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა უმასპინძლა გადაცემა „პრაიმშოუს“. მთლიანი გადაცემა მიემდგნა გურიას, ჩვენს ტრადიციებსა და კარმიდამოს მახასიათებლებს.

ივლისს გურიანთის მემორიალურ მუზეუმში გასვლითი სემინარი მიემდგნა ნეოლითური მასალის პოპულარიზაციას (კვერდელიძეების კარ-მიდამო).

4 აგვისტო - ცხემლისხიდის მუზეუმში მერიის ტურიზმის განყოფილების ინიციატივით, ფოლკლორული ანსამბლის მონაწილეობით თბილისელი სტუმრებისთვის გაიმართა გურული სიმღერების შესწავლის მასტერკლასი.

10 აგვისტო - დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში პროექტის ფარგლებში „იცნობდეთ გურიას“ სტუმრად იმყოფებოდნენ კოლეჯ „ჰორიზონტის“ გიდები. ისინი დეტალურად გაეცნენ გურულ კარმიდამოს, წეს-ჩვეულებებს და ტრადიციებს.

14 აგვისტო - გურიანთის მუზეუმმა მოიპატიჟა სკოლის პედაგოგები, სადაც გაშუქებული იქნა გაზეთ „ივერიის“ ცნობა გურიანთის სკოლის დაარსებასთან (1898 წ.) დაკავშირებით.

17 სექტემბერს- გურიანთის მემორიალურ მუზეუმს ეწვია ვაშნარის ექსპედიციის მონაწილე პროფესორები, სადაც განხილული იქნა მიმდინარე წლის აღმოჩენები, არტეფაქტები, მათი მნიშვნელობა. ასევე საუბრები გაიმართა მომავალი წლის გეგმებსა და მოსალოდნელ შედეგებზე.

19 სექტემბერს - დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმს ეწვია მომლოცველები თერჯოლადან, როგორც სასულიერო პირები, ასევე მრევლი. ჩვენი მეზობლები დეტალურად გაეცნენ გურულ კარმიდამოს და ადათ-წესებს.

17 ოქტომბერს ლიხაურის ექ. თაყაიშვილის მუზეუმში მოკრძალებულად აღინიშნა ექვთიმობა. მუზეუმის თანამშრომლებმა ლიხაურის საჯარო სკოლის მოსწავლეების ჩართულობით წარმოადგინეს ექვთიმეს წერილები, რომლებიც უცნობია ფართო საზოგადოებისთვის.

28 ოქტომბერს ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმს სამუშაო ვიზიტით ეწვია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნანა ხახუტაიშვილი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი გურამ ჩხატარაშვილი და გეოლოგი გურამ ხომერიკი. მათ ისარგებლეს მუზეუმის ფონდებით, დაამუშავეს და შეისწავლეს გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის მასალები, ზოდები და რკინის წიდეები, რომლებიც შევა სამეცნიერო ნაშრომში.

ნოემბრიდან, პანდემიასთან დაკავშირებით, სამუზეუმო გაერთიანება კვლავ გადადის დისტანციურ მუშაობაზე. ამ პერიოდში, ინდივიდუალურად, მოსწავლეებს, მეცნიერებსა თუ სხვადასხვა დაინტერესებულ პირებს გაეწიათ ინფორმაციული დახმარება მუზეუმის ფონდიდან, დავიწყეთ ნესტისაგან დაზიანებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების აღდგენითი სამუშაოები. ასევე რესტავრაცია უტარდება ტრანსპორტირების შედეგად დაზიანებულ IV – VII სს-ის სარკოფაგებს.

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების

დირექტორი

გოგა ტრაპაიძე